სამაგისტრო პროგრამა სკოლის ფსიქოლოგიაში

სამაგისტრო პროგრამის დასახელება – სკოლის ფსიქოლოგია – School Psychology. *

მინიჭებული აკადემიური ხარისხი – მაგისტრი სკოლის ფსიქოლოგიაში– MSc in School Psychology.

ხელმძღვანელი

- მარიამ მირიანაშვილი
  სრული პროფესორი
  ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
  უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
  ფსიქოლოგიის დეპარტამენტი.
- **მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს სკოლის ფსიქოლოგები, რომლებსაც შეეძლებათ ბავშვის შემეცნებითი და ფსიქოსოციალური განვითარების, სასწავლო და აღმზრელობითი პრობლემების შეფასება და დიაგნოსტირება, ინტერვენცია და პრევენცია.

მაგისტრატურის სასწავლო მიზნები ასე წარმოგვიდგება:

✓ *<u>დისციპლინიდან გამომდინარე სპეციალიზირებული გაღრმავებული სწავლება შემდეგი მიმართულებებით</u>*

1. კლინიკური პედაგოგიური ფსიქოლოგია

ეს კურსი მიზნად ისახავს შეფასების, დიაგნოსტირებისა და ინტერვენციის უნარ-ჩვევების განვითარებას, მათ შორის აკადემიური შეფასების და საგანმანათლებლო ინტერვენციების სწავლებას.

2. ბავშვის კოგნიტური განვითარება

კურსი მიმართულია შემეცნებითი პროცესების დიაგნოსტიკური და ინტერვენციული აქტიობების სწავლებაზე, კერძოდ კოგნიტურ შეფასებაზე და კოგნიტურ- ბიჰევიორალური ინტერვენციის სწავლებაზე.

ამავე მიმართულებით დაგეგმილია ჟ. პიაჟეს გენეტიკური ფსიქოლოგიის საფუძვლების სწავლება, მისი ძირითადი შრომების გაცნობა.

3. ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება

კურსი უყალიბებს მომავალ სკოლის ფსიქოლოგებს ბავშვის აფექტური შეფასების და ფსიქოსოციალური ინტერვენციის უნარ-ჩვევებს. ამისათვის დაგეგმილია აგრეთვე ბავშვებთან ჯგუფური მუშაობის მეთოდების სწავლება.

4. განვითარების დარღვევები

ბაკალავრიატის დონეზე ბავშვის განვითარების დარღვევების შესახებ სტუდენტები იძენენ ზოგად ცოდნას. ხოლო მაგისტრატურაში ისინი გაივლიან გაფართოებულ კურსს დარღვევებში, სადაც აქცენტი გადატანილი იქნება დამოუკიდებელ სემინარულ მუშაობაზე.

✓ *<u>კვლევის მეთოდების და სტატისტიკის გაღრმავებული სწავლება</u>*

1. განვითარების ფსიქოლოგიის მეთოდები

კურსი მოიცავს განვითარების ფსიქოლოგიის მეთოდების გაღრმავებულ სწავლებას;

განვითარების ფსიქოლოგიაში ფსიქომეტრიკის გამოყენების უნარის გაღმავებას.

- ✓ *<u>დამოუკიებელი კვლევის წარმოება</u>*

სწავლების დონეების, საფეხურების შესატყვისად უნდა მატულობდეს დამოუკიდებელი კვლევის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან სასწავლო პროცესში. თუ ბაკალავრიატში იგი გამოხატულია დამოუკიდებელი საბაკალავრო ნაშრომის შესრულებით, მაგისტრატურაში სტუდენტმა უნდა შეასრულოს დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი ერთი კონკრეტული მეთოდის გამოყენებით განვითარების ფსიქოლოგიაში, I კურსის I სემესტრში, სადაც დასაშვებია ჯგუფური პროექტის შესრულება; ინდივიდუალურად საკურსო ნაშრომი I კურსის II სემესტრში და სამაგისტრო ნაშრომი, ბოლო IV სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომი თავისი მიზნებითა და ამოცანებით დამოუკიდებელი კვლევის უფრო მაღალ კომპეტენციას გულისხმობს, ვიდრე საბაკალავრო, როგორც საკვლევი პრობლემის თვალსაზრისით, ასევე კვლევის დიზაინის სირთულისა და მთლიანად მეთოდოლოგიური აპარატის მხრივ. მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტს მოეთხოვება ამ კომპეტენციის ჩვენება.

- ✓ *<u>პრაქტიკის გავლა</u>*

მაგისტრატურაში მომავალმა სკოლის ფსიქოლოგმა აუცილებლად უნდა გაიაროს პროფესიული პრაქტიკა პრაქტიკის საუნივერსიტეტო ხელმძღვანელისა და შესაბამისი სკოლის ფსიქოლოგის ზედამხედველობით. პრაქტიკის მიზანია სტუდენტის მიერ დაგროვილი პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევის შეძენა.

- ✓ *<u>პროფესიული ეთიკური კოდექსი</u>*

როგორც დამოუკიდებელი კვლევის, ასევე პროფესიული პრაქტიკის პროცესში იქმნება სიტუაციები, სადაც სტუდენტმა პროფესიული ეთიკის კოდექსის ცოდნა უნდა გამოამჟღავნოს. ამიტომ პროფესიული ეთიკის კოდის სწავლება დამოუკიდებელი კვლევისა და პროფესიული პრაქტიკის პროცესში ინტეგრირებულად უნდა განხორციელდეს.

- **შედეგი**

პროგრამის დასრულების შემდეგ:

- ➢ მაგისტრი ფლობს სრულყოფილ ბაზისურ ცოდნას შემდეგ საგნებში: განვითარების ფსიქოლოგია (ბავშვის კოგნიტური განვითარება, ბავშვის ფსიქოსოციალური განვითარება, განვითარების დარღვევები), განვითარების ფიქოლოგიის კვლევის მეთოდები, განათლების ფსიქოლოგია.
- ➢ მაგისტრს შეუძლია სპეციალური ლიტერატურის დამოურკიდებლად მოძიება-დამუშავება; კვლევის მეთოდების გამოყენება პრაქტიკაში, კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა-ჩატარება, კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზი და შეფასება, შესატყვისი წერითი ანგარიშის შედგენა და ზეპირი პრეზენტაცია.
- ➢ მაგისტრს აქვს შემდეგი უნარ-ჩვევები: ანალიტიკური და პრობლემათა გადაჭრის უნარ-ჩვევა, კვლევითი და სტატისტიკური უნარები, პროფესიული გადაწყვეტილების მიღების უნარი, პიროვნებათა შორის ურთიერთობების უნარ-ჩვევა.
- ➢ მაგისტრმა იცის პროფესიული ეთიკის კოდექსი.

დასაქმება:

მაგისტრის ხარისხის მფლობელ სკოლის ფსიქოლოგს

- შეუძლია მუშაობა სკოლაში, სკოლამელ დაწესებულებაში, ბავშვთა საკონსულტაციო ცენტრებში, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც სპეციალიზირდებიან ბავშვთა, მოზარდთა, ახალგაზრდების პრობლემებზე, მშობელთა კონსულტირებაზე.
- აქვს უფლება დაიკავოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლებისა და კვლევის პროცესებთან დაკავშირებული თანამდებობა: ასისტენტის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, მასწავლებლის, ლაბორანტის.
- აქვს უფლება გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.

მიღების წინაპირობა:

- ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ან გავლილი კურსები განვითარების და/ან პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში.
- ნიშნების მინიმალური საშუალო – 4.
- სამუშაო გამოცდილების ქონა სავალდებულო არ არის.
- უცხოური ენის დონე – B1.

მისაღები გამოცდა: წერითი გამოცდა სპეციალობაში; ბილეთში შედის ოთხი საკითხი. თითოეული ფასდება 25 ქულით. (საგამოცდო საკითხები იხილეთ დანართში).